

572

1972

036060
N6



036060
N6

1972
036060
N6

გავშვებო! ამ ნახაგე-
ბით თქვენი თანაგოლე-
ბი გილოცავენ გავშვთა
სეარტაშორისო ღამის
ღამს.



„ქლოუნო“ — ნახ.
თამუნა მაღაზონიანი, 6 წ.



„გოგონა თაიგულით“ — ნახ. თინა
კლაგანიძე, 5 წ.



„მოლოდილი“ — ნახ. ვაკა მებრევილიძე, 6 წ.



„მზიანი ღელე“ — ნახ. მარინე იოხეიძე, 8 წ. ქ. გორი.



„თბილამურებით“ — ნახ.
თამარიკო მებურთვილიძე, 8 წ.

„წითელქუდა“ — ნახ. რუხულან მეძე-
რიაშვილიძე, 5 წ.



„ქ. ჯ. ჯიბანდუღაძის
ვახუთი დღე“ — ა. ი. ი.
ივანოვიძე



„ბალერინა“ — ნახ. თამარ აღიაშვილიძე, 7 წ.



„გაჭაფბულო“—ნახ. ხოსო თომბაძისა, 7 წ.

„ცხენოსანი“—ნახ. ირაკლი ყვინიასა, 7 წ.



„ბატები“—ნახ. ბათუნა ხუბიშვილისა, 6 წ.

„ბეჭაფბულო“—ნახ. თეა ბუტხიკიძისა, 5 წ.



11826
„ქოიჭაქო“—ნახ. რომან ოზნელიძისა, 6 წ.

„გაჭაფბულო“—ნახ. თეა ბუტხიკიძისა, 5 წ.



„ღოღო და ცოცო“—ნახ. გია ჯანგრაშვილისა, 7 წ.

„გაჭაფბულის დღე“—ნახ. დამო ცინცაძისა, 5 წ.



სიმღერა პაპულაზე

მუსიკა ლილი პაპაშვილის მიერ შედგენილია

ლექსი ჯანსუღ ჩარკვიანიისა

პაი, დილიღმე, დილიღმე,
 მთა-ბარი შემოვიბრინე,
 მთაში წუგარანი ძღვრინა,
 ბარში შინდარი ბიბინებს.

წუგროსაც დაეწუგები,
 დაეწუგე ვარდებს და გვირილებს,
 რა ღამაში სარ, ქაშულა,
 შენი გაძმენის ჭირიძე.

Moderato

პა - ი დი - ღმე დი - ღმე სე

მთა - ბა - რი შემო - ვი - ბრინე . . .

mp

მთა - ში წუ - გარ - ი - ნი ძღ - ვრ - ი - ნა ბარ - ში შინ - დარ - ი ბი - ბინ - ებს

f

ხო შვი - შვი რე - ბს

ნახტი მარინა ჯიშკარიანისა, 7 წ.





პაპიოსანთა ქალაქი

პალაჩიან ჩაპარიშვილი

ზ ლ ა ბ ა რ ი

ნახატი თამაზ ცვიტიშვილითა, 13 წ. კასპი.

ერთ პატარა ქალაქში, პატიოსანი ხალხი ცხოვრობდა, ყველა შრომობდა, ყველა ოფოს იწურავდა და ისე ტამდა პურს.

სად იყო, სად არა, იმ პატიოსანთა ქალაქში საიდანაც ვეშაქი გაჩნდა. ქალაქის მცხოვრებლებმა ვეშაქი არ გააძევეს, თქვეს: ჯერ არაფერი დაუშავებია, რატომ გვაძევოთ, ან ეს ერთი ვეშაქი რას დაგვაკლებსო. ის კი არა და, ვინ იცის, იქნება ესეც პატიოსან კაცად ვაქციოთო.

ვეშაქმა იმ ქალაქში ადამიანის სინდისისა და პატიოსნების შესასყიდი ღუქანი გახსნა: დაჯდა ცარიელ დახლთან და დაელოდა მუშტარს.

დიდხანს იჯდა ასე უქმად. ადამიანები იმ ღუქანს ახლოს არ ეკარებოდნენ: ყველა სამუშაოზე გარბოდა, ყველა კეთილი საქმის გასაყეთებლად მიიჩქაროდა.

ვეშაქს ვეშაქობა არ აკლდა, ადგა და თავის ღუქანს წარწერა შეუცვალა: „ვაქირე-

ბულს ფულს ვასესებო.“

მეორე დილით პატიოსნებმა ეს წარწერა რომ წაიკითხეს, გაუკვირდათ. თქვეს: ვეშაქი ანგელოზად ქცეულაო. ზოგმა კი თქვა, შეიძლება რალაც ვეშაქობსო, მოდით, ახლოს მაინც ნუ გავეკარებითო.

არც გაეკარებია.

იჯდა ვეშაქი უსაქმოდ, ელოდა მუშტარს და იმას ფიქრობდა, რა მოვიგონო, რომ ადამიანს სინდისი და პატიოსნება დაეტყუო. ამ დროს მის ღუქანს ყველაზე ღარიბი და ყველაზე პატიოსანი კაცი მიადგა. ის კაცი ყველაზე ღარიბად იმითომ ცხოვრობდა, რომ პატიოსანი და ძალიან ზარმაცი იყო. მიადგა ვეშაქს და სთხოვა, ფული მასესებო.

— ვასესებო, — უთხრა ვეშაქმა, — ოღონდ გირაოდ შენი პატიოსნება დამიტოვეო.

— აჰ, პატიოსნება არა მთხოვო და შენი არაფერი არ მინდაო.

— ამოდენა ფულს გაძღე, მაშინ სინდისი



მინც დამიტოვეო,—უთხრა ეშმაკმა.

— მერე უსინდისოდ როგორღა ვიაროო?
— რა გიჭირს ცოტა ხანს, ფულს რომ დამობრუნებ, შენს სინდისს ისევ მიიღებო.

ყველაზე ღარიბმა კაცმა დაუტოვა სინდისი და წაიღო ფული.

გამოხდა ხანი.

კაცმა სინდისის გამოსასყიდი ფული ვეღარ იშოვა, რადგან შრომა ეზარებოდა და უსინდისო ისევ მიაღვა ეშმაკს:

— სინდისი შენ გქონდეს, მე არ მჭირდება. ახლა პატიოსნებაც რომ დაგიტოვო, რას მომცემო.

— ოქროსო.

კაცს უშრომლად მოუნდა გამდიდრება, ეშმაკს პატიოსნება დაუტოვა, ოქრო გამოართვა და გამდიდრდა.

ღარიბის უშრომლად გამდიდრება რომ დაინახეს, ერთმანეთის ჩუმაღ მიდიოდნენ ეშმაკთან მშრომელი და პატიოსანი ადამიანები, უტოვებდნენ სინდისს და პატიოსნებას, მიჰქონდათ ფული, ოქრო და მდიდრდებოდნენ.

ეშმაკმა და სიღარიბემ ბევრს ააღებინა ხელი სინდისზე და პატიოსნებაზე,—მაგრამ ყველას—ვერა.

ახლა იმ ქალაქში ცხოვრობენ უპატიოსნო, უსინდისო მდიდრები და პატიოსანი ღარიბები.



კარუსელი

გიორგი ნაპთალი

მანქანები,
ცხენები, —
ცისფერები,
ჭრელები,
ზედ ჰკიდია კარუსელს,
აბა, ვინ, ვის გაუსწრებს?!

ნახტი კოტე რუხიძისა, 12 წ.

1 მისი




ქათინოს ბაუთაბი

ნოლაკ ლუგბაკა

გადაიფრინეს პეპლებმა
ათასფერადი ტრამალი,
უხვად შიირთვეს ნექტარი,
ვით უკვდავების წამალი.
დაკოცნეს ვარდი, ყაყარო,
ია, ღლილო, ენძელა.
ციხ დასალიერს შიადგენს,
დაღლილებს ფრენა ეძნელით.
უცხო ყვავილზე ჩამოსხდნენ,
თვალი მოღულეს წამითა,
უცებ წამოდგა ყვავილი,
ყვავილი უცებ წავიდა.
პეპელამ უთხრა პეპელას:
— რა გვემართება, ნეტო,
მოსიარულე ყვავილებს
თვალით პირველად ვხედავო.
მაშინ ყვავილმა შეგკადრა:
— რამ შეგაშინათ ნეტო,
ქეთინო მქვია სახელად,
რა ვქნა, მასხედით ზედაო,
მინდვრად ბაფთები დავკარგე,
საუბედუროდ ჩემდაო,
რომ შიმატოვით, პეპლებო,
შინ არ შემიშვებს დედაო.
ვერ გაუწილეს პეპლებმა
თხოვნა და გულისნადები,
ახლა არავინ არ დადის
ქეთოსნაირი ბაფთებით.

ნახატი ნინო ლონდარიძისა, 5 წ.





ბავშვების
განათლების

როგორ უნაშინა ირაკლიმ ბავყავი

თინათინ ჯაპახიშვილი

ნახატი დავით ფანჯგიძისა, 12 წ.

ირაკლის ძალიან უყვარს ბოტანიკური ბაღი. განსაკუთრებით კი დუშფარებით სავსე დიდი აუზი.

ერთხელ ირაკლი დასცქეროდა აუზს და უვიროდა:

— დეიდა თინა, შესე, ორი ბაუაუი როგორ მიცქერის. ქვა ვესროლო?

— არა, ქვას ნუ ესვრი, თვითონვე დაიძლებიან წუბაღში.

ირაკლის ბაუაუების დანახვა უნდოდა, ჯებირსე შედგა, წუბაღში ჩაიხედა და, ოკანა... ჩაჯარდა.

შემინებულმა დეიდა თინამ გაღუმეული ირაკლი აუზიდან ამოიყვანა.

ირაკლი ერთ წუთს სატირლად მოეშადა, მაგრამ უცებ დეიდა თინას ხელიდან დაუსხლტა, აუზში ჩაიხედა და წამოიძახა:

— დეიდა თინა, ხედავ, როგორ შევაძინე ბაუაუები, დაძალებულნი!

აგბავი ერთი ოჲისა

მუჲამ ღოჲინაშვილი ნახატი გეგა პაქაშვილისა, 8 წ.

იჲო და არა იჲო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, დიდი ხნის წინათ ვილა არ გახლდათ, იჲო ერთი უქნარა, თეთრი მეფე—ჩი და მრისხანე დედოფალი—თეთრი საღ-სალამათია. ცხოვრობდნენ თანაბარ უჯრედებდა დაუოფილ ველზე. რვა დაბალი, დიდთავა მსახური დღენიადაგ თვალეშე შესციციებდა მეფე-დედოფალს:—ეგება რამე დაგვაგლონო. მძიმე ეტლებიც მზად იყვნენ ბრძანების აღსასრულეზღად. ერთი სიტყვა და, ოთხივე მხრივ გვა ხსნილი ჰქონდათ,—ოლონდ გზიდან ვერ გადაახვევინებდით. ორი ეპოლეტია-ნი ოფიცერიც იღვა ბრძანების მოლოდინში, და ორ რეტან ცხენსაც ერთი სული ჰქონდა, როდის გადაევიდნენ თავზე დაბალ მსახურებს. იმათი ჰენება დიდად ფათერაკიანი საქმე გახლდათ: ორ უჯრედზე რომ ისკუპებდნენ, მერე გვერდით უჯრედზე დაბტებოდნენ ხოლმე.

თეთრი მეფე-დედოფალი, სმა-ჰამითა და განცხრომისაგან დაღლილინი, თავგაბეზრებულნი, ხანდახან ვრცელ ველს გადახედავდნენ. ველის ბოლოში კი შავი მეფე, უქნარა ჩი და მისი შავი დედოფალი, მრისხანე საღ-სალამათია იდგნენ, კუპრისფერი მსახურებითა და ეტლებით, ცხენებითა და ოფიცრებით გარშემორტყმულნი.

იმ ველის დასასრულს, შავების ბანაკთან, ნატვრის ღელე—ერთი უკვდავების წყარო მიჩუხჩუხებდა, წყარო მხოლოდ შავი მეფე-დედოფლისა და მისი ამალისათვის იჲო მისაწვდომი. და ხანდახან, ბრძოლის ჟინით ავებულთა ანჩლი დედოფალი, თეთრი საღ-სალამათია, საბრძოლველად მოუხმობდა თავის მხედრიონს და ველის დასაწყისში ასე განლაგებოდნენ: შუაში მეფე-დედოფალი გაიჯგომებოდა, იმათ ოფიცრები უმშვენიებდნენ მხარს, შემდეგ აქეთ-იქიდან რეტანი ცხენები აცმუკდებოდნენ, ბოლოს კი ეტლები დადგებოდნენ დინჯად. ერთი ნაბიჯით წინ დიდთავა მსახურები ჩამწყრივდებოდნენ და ამასობაში შავი მეფის—შავი ჩის ხალხიც საბრძოლველად ირაზმებოდა ეტლი ეტლის პირისპირ დგებოდა, ცხენი—ცხენის პირისპირ, მეფე-დედოფალი—მეფე-დედოფლის პირისპირ. თეთრი



ჩი ერთს დაამთქნარებდა და ნამძინარევი ხმით უბრძანებდა მსახურს უკვდავების წყლის მოტანას. იმასაც სხვა რა უნდოდა, ერთბაშად ორ ნაბიჯზე ისკუპებდა და სულის მოხათქმელად შეჩერდებოდა. მყისვე შავი მსახურიც გადმოხტებოდა და გულდაგულ ცხვარწინ დაუხკუპდებოდა. იდგნენ და თვალეზს უბრაილებდნენ ერთმა-



ნეთს, რეტანი ცხენებიც გადაახტებოდნენ თავზე
სხვა მსახურებს და მოჩხუბრებისაკენ მიაშურებ-
დნენ. იმათ შეუდრეკელი ოფიცრებიც მისდევ-
დნენ, ოღონდ ძალიან უცნაურად დაიარებო-
დნენ—გვერდელად და აღმაცერად; მძიმე ხმლე-
ბი ეპუათ და რომელ ხელსაც მოინაცვლებდნენ,
განიც იმ მხარეს ძლევდათ.

იყო ერთი შუბლთა კმუხენა და დაკა-დაკა,
ხალ-ხალამათია დედოფლები კი იხე დაპქრო-
დნენ, ქარსაც შეშურდებოდა. იმათ ეტლებივითაც
შეეძლოთ ქროლვა და ოფიცრებივითაც. მსახუ-
რებივით სიარულს ხომ რა უნდოდა! მართლა,
სულ გადამვიწყდა: — მსახურებს უფლება არ



ჰქონდათ, უკან ერთი წამითაც რომ მიეხედათ, ხანამ უკვდავების წყარომდე არ მიადწევდნენ.

მხოლოდ ის უზადრუი მეთე ჩი იდგა ზანტად. თითო ნაბიჯს თუ გადაადგამდა ან წინ, ან უკან. ანდა მარჯვნივ და მარცხნივ. ამასაც მხოლოდ მაშინ იკადრებდა, თუკი მტრები შეაწუხებდნენ. რაში არგოდათ ამნაირი მეთე და მბრძანებელი. შაგრამ იმხანად წესად ჰქონდათ: თუკი მეთეს დაატყვევებდნენ, ყველანი დატყვევებულად ითვლებოდნენ.

ამიტომ იცავდნენ ასე ბეჯითად მეთეს. ომში კი ეცემოდნენ გულადი ოფიცრები, ცხენებს ქაშანდს მოსდებდნენ კინებზე, ეტლები სადმე მიხვეულში აუირავდებოდნენ და, თქვენ წარმოადგინეთ, იმ მჩრისხანე საღ-სალამათიაა ზანდახან რომელიმე შეუხედავი, დიდთავა მსახური იმსხვერპლებდა.—რა არ ხდება ომში!

მეთე ჩის რომ გაუჭირდებოდა, მაშინ უნდა გენახათ:

— მოდი აქ, ოფიცრო, —გაძახებდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, —მოდი აქ, ჩამომეფარე, ჩქარაა...

იმითაც რა ექნათ და, ეფარებოდნენ. ოფიცერი მსახურებთან თუ გულზიადი იყო, მეთესთან დიდად პირმოთინე ვახლდათ.

თუ ძალიან შეავიწროვებდნენ მტრები, მეთე ბტრის ბაჟაქში შეჭრილ დედოფალსაც უხმობდა საშველად. ასე დაბტოდნენ წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, გარდა დიდთავა მსახურებისა. ისინი წველებით, მძიმედ მიიწევდნენ მხოლოდ და მხოლოდ წინ.

და ზანდახან ისიც ხდებოდა, რომ ველის ბოლოს, ნატვრის ღელესთან აღმოჩნდებოდნენ. დიდი ორგული მსახურები იყვნენ—ჩის ნაცვლად, მეთე-დედოფლისათვის უკვდავების წყალი მიეტანათ. „ნეტავ მეც დედოფლად მაქციაო,“ —ნატვრის ღელეს ამასა სთხოვდნენ.

მართლაც, საოცრებავ, დაბალი მსახურები ამაღლდებოდნენ, აიშოტებოდნენ, ის დიდი თავივც უპატარავდებოდათ და ველს ქუშმარტ დედოფლებად მოეფინებოდნენ. ორი დედოფალი კი, თანაც როცა ორივე საღ-სალამათიაა, რომელ მეთეს არ დააქცევს, და იმარჯვებდნენ... მაგრამ საღ იყო მეთისათვის ან უკვდავების წყალი, ან ის ჯან-ღონით სავსე ოფიცრები სადღა იყვნენ! მსახურთაგანაც ხომ ბევრნი აკლდათ!

რალად არგოდათ ასეთი გამარჯვებები, ძლივს ითქვამდნენ ხოლმე, ხანდახან რაღაცეა ლა მეთედა შემორჩებოდა ველს და ფრიად გაკვირვებულნი უმზერდნენ ერთმანეთს—რა გვაომებდაო.

მერე მაინც გამოსძებნიდნენ თავ-თავიანთ დედოფლებს. დედოფლებს კი, მოგვსენებათ, მსახურები სჭირდებათ, მსახურებს—ოფიცრები, ოფიცრებს—ცხენები. სადაც ცხენებია იქ ეტლებიცაა და... ვიღას ახსოვდა, წინა ომში რაც იწვინეს, —ისევე საბრძოლველად განემზადებოდნენ!

ერთმა თეთრწვერა ბერიკაცმა დიდახან უყურა იმთ უმოწყალო, დაუნდობელ ომს, გაუთავებელ კინკლაობასა და საბრძოლო შეძახილებს „ქიში“-ო რომ გაიძახოდნენ. ითმინა, ითმინა და მერე, რომ ველარ მოითმინა, ყველანი ხედ გადააქცია, დააპატარავა, დააკინა, მეთე ჩიდ დააჩინა, ის ევლიც ორად მოკცა და ორივე ბანაკი შიგ მოამწყვდია—თეთრებისაც და შავებისაც.

ჩემო პატარებო, თუ ეს ამბავი არა გჯერათ, უფროსებს სთხოვეთ, ჰქარაკის ყუთი გახსნან და დიდიან-პატარიანად ქველა მეომარი ამოაღიან. მერე ერთხელ კიდევ გადაიკითხეთ ეს ზღაპარი, დარაშემთ ყველანი ისე, როგორც დიდი ხნის წინათ რაზემოდნენ. ოფიცრებს ხმაღს თუ ვერ დაუნახავთ, ნუ გაგვიკვირდებთ—ხმალი ჩამორთმეული აქვს. ყუთში ვიწროდ არიან და სხვა რომ არა იყოს. შეიძლება თავის მეთესაც კი უნებურად ავნოს რაიმე. მაგრამ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, გაგვიგონიათ ალბათ! და ახლაც, უხმოდ ოფიცრები მაინც ისევე ისე, ძველებურად, აღმატებლად დადიან.

ნურც იმას იტყვი, მეომრები ხისანი არიან და ეგ რა ომიო. ეს ომი კი არა ბრძნული თამაშია და თუ დამარცხდებით, ამითაც ბევრი არა დაშავდება რა—უაიშს მაინც სჯობს.

თუ გულს ვერ დაუღებთ, ეგვეც არაფერი. ხოლო თქვენ, ვისაც მოგეწონებთ ეს თამაში, თანდათან მიხვდებით, რომ მეთე სულაც არაა ზანტი და არც ცხენები გახლავან ურიგო, თქვენი გონების წყალობით ბრძნულად თუ ამომრავდებიან.

ჯერაჯერობით კი მხოლოდ იმას ისწავლით, დიდი ხნის წინათ როგორ როკავდნენ უჯრდოვან ველზე მეთე-დედოფლის ორგული და ერთგული მსახურები.



რუსი მგელი

ანჟორ აბულაშვილი

იყო ერთი რუსი მგელი,
 კულში მგლური ზრასჯა ედო,
 გაჭურებდა—ცხვარი თეთრად
 შეჭყუნოდა მთების ფერდობს.
 მოზურისსეულა, კბილებასრი
 ძაღლი იწვა იქვე მშვიდად,
 კომბლით ედგა ფარას მწუქსინც,
 თოფი მხარზე გადგვიდა.
 რა თქმა უნდა, იმ ცხვრის ფარას
 ბინაც იქვე მთაში ჰქონდა.
 ის-ის იყო—წითელი მსე
 გორებს იქით გადაგორდა.
 არას სწუსდა რუსი მგელი,
 განცქეროდა მწვანე ქედებს;


ნახატი მიხეილ მანაძისა, 5 წ.

ჯერ აღრუა, ჯერ მოიცდის...
 კარგად უნდა ჩამობნელდეს...
 მერე სტეკენით ბინისაკენ
 გაიარეკა მწუქსინსა ფარა,
 აიარეს მწვანე სერი,
 ცხვარი ფერდობს მიეფარა,
 ძაგრამ ფარა, სედაც მიდის
 კარგად იცის რუსმა მგელმა,
 ჭკუაც უჭრის, მუსლიც კრჩის,
 სწრაფი არის, როგორც ელვა.
 და, როდესაც მუადამემ
 ჩამოუძვას ბნელი ფარდა,—
 უცაბედად მეცხვარეებს
 ცხვრის ფარესში შეუფარდა.



მკლობაცა და მოხერხებაც
რუს მკვლს სხუებზე მეტი ჰქონდა,
სხუასზე მეტი ეუჩადა,
სხუასზე მეტი ედო ცოდვა.
ახლაც უინხად იღვა ბნელში
და თავისად სთულიდა ფარას.
— ვუელას უნდა გაგვრა კბილი,
წამოვიდეს სისხლი ღვარად...
მაგრამ უნდა ახმაურდნენ
ირგულივ შთები, გორაკები,
მწვემსს გასძახა ბნელში მწვემსმა,
აღავლაჯდნენ ქოფაკები.
მოსასდენი სწრაფად მოხდა,
შეკრა ჩვენი რუსი მკვლი;
ჟღარც მუხლში ვამართო,
ბასრი კბილიც ვუღარ შევლის.

იმ ქოფაკმა მოხერხისხელმა
თათი დაპკრა ისე მარჯვდ,
ზურგში კბილი გაუუარა,
დაწვეუტა მიწას სამჯერ...
მაგრამ მკვლი რის მკვლია
შეირცხვინოს ძაღლთან თავი,
ძლიერსა და მოხერხებულს,
სიბნელეშიც უჭრის თვალი.
ის უჩაღიც კონს მოეკო
და მიეცა ძალაც მეისვე,
ერთი მწარედ გაიბრძოლა,
თავად მისწვდა ძაღლის კისერს.
თუმცა კბილი რას დააკლებს
მურას ეელზე შემბულ ჯინჯილს.
მკვლი უკვე ფეხზე დადვა,
ახლა უკვე მარჯვდ იბრძვის.
გაეღვა ბასრი კბილი,
აიტოტა ერთი მკვლურად,
მიეტანა გააფორებით,
ღაიჯაბნა თითქოს მურა,
მწვემსნი ვერას ახერხებენ,
თუმც უზურიათ თოფი სელში,
აბა, როგორ გაარჩევენ
ძაღლს და ნადირს სიბნელეში.
უჩაღი კი სადაცაა
გამოჭვატრავს ქოფაკს მუცელს,
მაგრამ სწორედ აი, ამ დროს
ეველაფერი მოხდა უცებ:
ძაღლმა ძალა მოიკრიბა
და უწვდინა კბილი ეუელთან;
ასრიალდა ღამის ქურდი.
თენღებოდა ღამე თეთრად...
მეორე დღეს იმ ფარეხთან
უნახე დიდი ბრძოლის კვალი
და მარგილზე მოქანავე
მკვლის ვეება, რუსი ტეავი.



უჩაღი უანქრები

ი. უაღინი

ერთ მშვენიერ დილას თეთრი, ქათქათა ქალღი უჩვეულო ხმაურმა გამოაღიძია: ფანქრებით სავსე კოლოფი მაგიდაზე დახტოდა.

გაოცებულმა ქალღი თავი წამოსწია: ეს რა არის? რა მოსდით ჩემს კარგ მეგობრებსო?

უცებ კოლოფს თავსახური აეხადა და იქიდან ყველაზე გრძელი შავი ფანქარი ამოხტა.

— მე ვარ, რაც ვარ!—წამოიძახა მან.—ყველის გეძინათ და ვერ ხედავდით, ღამით შავ

ნახატი ეკა აბულაძისა, 7 წ.

ფერში იყო ყველაფერი გახვეული.

— არა, მე ვარ, რაც ვარ!—მტკიცედ განაცხადა მწვანე ფანქარმა,—აბა, სცადეთ და, უჩემოდ ბალახი და მწვანე ხეები დახატეთ!

ღურჯმა მოკლე ფანქარმა ჩაიციხა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— გიყვები, ნახეს რალა საჩხუბარი: ნუთუ დაგვიწყდათ, ზღვები და ოკვანეები რომ ღურჯი ფერისაა.

ყვითელი წვერმოტეხილი ფანქარი შეწუხ-





და, წვერი ჰქონდა წასათლელი და ხმას ვერ იღებდა.

— არა, უჩემოდ არაფერი არ იქნება, მე ვარ, რაც ვარ!—ბოხი ხმით წარმოთქვა ყავისფერმა ფანქარმა.

— არა, მე! არა, მე!—აყვირდა იისფერი, ცისფერი და ნარინჯისფერი.

ბოლოს ყველა მაგიდაზე გადმოხტა და ხელნართული ბძიძოლა გააჩაღეს. კოლოფიდან ღინჯად ამოვიდა წითელი ფანქარი და ქალაღს მიმართა:

— პატრეცემულო თეთრო ქალაღო! დაეხმარე ჩემს ძმებს, გადაწყვიტონ დავა, რომელი ფერია ყველაზე საჭირო.

— ჩუმად, ჩუმად!—დაიყვირა ქალაღმა,— დაწყნარდით, მეგობრებო, რა დაგემართათ! მაგ ჩხუბს ისა სჯობია, საქმეს მოჰკიდოთ ხელი; აიღეთ და ყველაზე უბრალო სურათი დახატეთ, ის გადაწყვეტს თქვენს დავას.

— ღიღი სიამოვნებით!—განაცხადა მწვანე ფანქარმა და ხასხასა მდღელის ხატვას შეუდგა. ხატავდა და ხატავდა თავდავიწყებითა და გატაცებით... მალე ქალაღზე ნორჩი, მწვანე ნაძვარიც გაჩნდა.

უცებ ლურჯი ფანქარი ერთ-ერთ მწვანე ღელის შეასკუპდა და წვერზე ღიღილოს თავი მიახატა, ახლა მგორებზე გადახტა.— ჩიტისთავა დახატა. სკუპ-სკუპითა და ხტუნვა-ხტუნვით მთელი მწვანე ველი მოიარა და მინდორი ლურჯი ყვავილებით მოჩითა.

— არა, არა!—აყვირდნენ მსხვილი ღვროვები და ფოთლებმაც აუბეს მხარი.— ლურჯი ფანქარი ჩვენც ჩიტისთავას ქუდის დახურვას გვიპირებსო.— ჩვენ წითელი თავები უნდა გვქონდეს. ჩვენ ხომ ყაყაოვები ვართ!..

წითელი ფანქარი მაშინვე აძვრა ღვროვებზე და სასწრაფოდ წითლად გააფერადა ყაყაოვების, მიხაკებისა და ვარდების ფურცლები.

ახლა ცისფერი ფანქარი ამუშავდა. ქალაღის ფურცელს თავში მოგეტკა და ცის ხატვას შეუდგა.

უცებ, სად იყო და სად არა, ბზულით მოფორინდა კრახანა,—ეს ყავისფერი ფანქარის წყალობა გახლდათ.

— ჩვენ ხომ ბაიები ვართ!—ჩაიჩურჩულეს

უქუდოდ დარჩენილმა ღვროვებმა.—რა, გვეშველება, ჩვენს ფანქარს რომ წვეროვებში მოიტყვილი?

— მოვლიდით, ნუ გეშინიათ!—დაიყვირა ფანქარის სათლელმა და ბზრიალასავით დატრიალდა.—ესეც შენი ყვითელი წვერი!

— გმადლობთ, კეთილო სათლელო!—მადლობა ვადაუხადა ყვითელმა ფანქარმა და ქალაღზე გადახტა.

წითელი, და ბაიებმა თავიანთი ყვითელი ქულები დაიხურეს, რამდენიმე წუთი და, ახლა მზესუმზირებმა დაიწყეს მრგვალი თავების ტრიალი. მერე ყვითელმა ფანქარმა დიდი, უშველებელი წრე შემოხაზა, სად იყო და სად არა, ნარინჯისფერიც გაჩნდა და წრეს პირი, თვალები და პაქუა ცხვირი მიახატა: ცხრათავალა მზეც აბლღვრიალდა!

— ახლა მალე დალაშქრება!—დაიყვირა შავმა ფერმა, წინ გაიქცა, თავისი დიდი ენა გადმოაგდო და ცის ლაქვარდზე მაშინვე გაჩნდა პატარა შავი ღრუბელი.

— უჰ! რასა შერბები. არ გვინდა დაბნელება!—ერთხმად აყვირდა ყველა ფანქარი.— ბნელში ჩვენც ნახვლავი აღარ გავიზომინდებამ!

შავმა ფანქარმა ირონიით ჩაიკინა და მისი დახატული ღრუბლებიდან წვიმის წვეთები ჩამოცვივდა, მაგრამ უმაღლეს გადაიღო და ახლა ცაზე შეიღფერი ცისარტყელა აკიაფდა.—ძმებმა ფანქარებმა ხელი ხელს ჩაჰკიდეს და მზე ერთიანად დაფარეს.

უცებ მოულოდნელად რალაკამ დაიგრიოლა, ატყდა ერთი სტვენა, მიღამო ერთიანად განათდა—ცაში წითელი რაკეტა აიჭრა. ეს წითელი ფანქარმა გააკეთა.

— ვაშა!—ერთხმად დაიგრიოლეს ფანქარებმა, რაკეტა რომ დაინახეს.—ვაშა!

ყველაზე მეტად კი ქალაღი იყო გახარებული. დიდად მოიღვინა, როცა აბიბინებულ ბალახს, ყელმოღვრებულ ყვავილებს, ცადაზიღული ხეები დაინახა. მზე ანათებდა, ცისარტყელაც ათასფრად გლეჯარებდა და, თქვენ წარმოიღვინეთ, წითელი რაკეტაც კი დაქროდა.

ისიც ახარებდა, რომ მისი მეგობრები შერიგებულიყვნენ და აღარ დაობდნენ.

მკურნალები

სირა ძიგიაშვილი

ერთსელ ტყეში ხმა დაირსა,
ხმა გავარდა შესივით,
მოგვესმარეთ, მოგვაძველეთ
წიფლისათვის ექიმი.
უოველმსრიდან მოფრინავდნენ
ფრინველები ფრთხალი,
ნისკარტებით მოიტანეს
ათასგვარი წამალი.

ნობატი შალვა ბანძელაძისა, 14 წ. ქუთაისი.

დააფინეს საფენები,
შეასსურეს წვეთები,
იმედიც კი აღარ ჰქონდათ
მისი გამოკეთების.
ბოლოს ჭრელმა კოდალებმა
გახსარეს წიფელი;
ასი მატლი გამოთხარეს
თეთრი, წითელ-უკითელი.





ღვთისო

თაღო გაქვილი

ნახატი გიგი ნინოშვილისა, 8 წ.

ფრთამოტყესილი ქორის ბასხლა
 სეეში უნახავს ღვთისოს.
 წაუყვანია, შოურწენია,
 ასლა აპბობენ, ზრდისო.
 — ღვთისო, რად გინდა ქორის ბასხლა,
 გაძაღდებუ ვისო?

— როგორ თუ რადა?—
 ღვთისოს უთქვია,—
 ესეც შეილია ღვთისო.
 წამომაგრდებუ, ცაში გაუუშვებ
 ლურჯი ლაყვარდის შვილსო.
 — ასეთი ბიჭი, კაცი დადებუ,
 უოჩად, ჰატარა ღვთისო!

შთავაჩი რედაქტორი მუხრან მახაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ანაბერი გომიზაშვილი, ლილია შარბი, ჯემალ ლოლაშვილი, ზურაბ ლომიძე, მანანა მამუკაშვილი, ირაკლი ძეგლობაძე (პეკ მდევანი), ზაზა ცხადაძე (სამ. რედაქტორი), გივი ძეგლობა

პეკ. აღკ. ცაიხა და გ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რეპუბლიკური საბავშვო ჟურნალი. გამოსვლის 48-ე წელი.

საქ. კომ. ცაიხა და გ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რედაქტორი მ. რედაქტორი

საქ. კომ. ცაიხა და გ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რედაქტორი

შთავაჩი რედაქტორი: მანანა მამუკაშვილი, გეგმაშვილი-ლილია, ლენინი, 14 კვლ.: შთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; მანანა მამუკაშვილი — 93-10-32, 93-98-17; სამ. რედაქტორის — 93-98-18; გეგმაშვილი — 93-98-18; სამდენიშვილი — 93-98-18.

გადიცვა ასაწობად 15/11-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდოდ 25/11-72 წ. კალენდის ზომა 80x90¹/₄ ფი. ნახ. ფურც. 25, ტირაჟი 159.700. შეჯ. № 1009. „დია“ № 6. ნა გრუიკონომ იკვამ. ფასი 20 კაბ.

176/28

76055



„გეგმი“—ნახ. ვია მარტაშვილიძე, 4 წ. თბილისი.
„ხალამო ხოფელში“—ნახ. ლია ზუბეგოვიძე, 8 წ. თბი-
ლისი.
„ბაღჩა“—ნახ. ლალი გულუიკაშვილიძე, 6 წ. რუსთავი.
„ბავშვები“—ნახ. ლალი მანჯაველიძე, 5 წ. ქ. მცხეთა.
„ხახლები“—ნახ. ლალი კიკოშაშვილიძე, 5 წ. თბილისი.
„უკვადლები“—ნახ. ქეთინო ნაკაშიძე, 4 წ. თბილისი.
„გოგონა“—ნახ. მანანა წილოსანიძე, 6 წ. თბილისი.